პრეს-რელიზი

გენდერული თანასწორობა – მდგრადი განვითარების ქვაკუთხედი

თბილისი. 2018 წლის 21 თებერვალი – **2018 წლის 21 თებერვალს გაიმართა საქართველოს მთავრობის, საერთაშორისო ორგანიზაციების, სამოქალაქო საზოგადოებისა და კერძო სექტორის წარმომადგენლების შეხვედრა, რომლის მონაწილლება იმსჯელეს გენდერულ თანასწორობაზე, როგორც მდგრადი განვითარების ერთერთ საკვანძო საკითხზე. შეხვედრაზე განიხილეს საქართველოში მდგრადი განვითარების მე-5 მიზნის მიღწევის პერსპექტივები, რომელიც გულისხმობს 2030 წლისთვის ქალთა პოლიტიკურ და ეკონომიკურ გაძლიერებას და გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის აღმოფხვრას.**

სოფო ჯაფარიძემ, საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანაშემწემ ადამიანის უფლებათა და გენდერული თანასწორობის საკითხებში, და გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარემ, აღნიშნა, რომ, მდგრადი განვითარების მე-5 მიზანი (SDG 5) დაკავშირებულია სახელმწიფო პოლიტიკის ყველა საკითხთან.

„საქართველომ მნიშვნელოვანი სამუშაო გასწია იმისათვის, რომ მდგრადი განვითარების თითოეულ მიზანში შესულიყო გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული ინდიკატორები. 2030 წლის ეროვნული დღის წესრიგის ფარგლებში ქვეყანა იმუშავებს ქალთა ეკონომიკური მონაწილეობის გაზრდის, ქალებისა და კაცებისათვის თანასწორი ეკონომიკური შესაძლებლობების უზრუნველყოფის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში გენდერული ბალანსის დაცვისა და ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობის დასრულების მიმართულებით“, – განაცხადა სოფო ჯაფარიძემ.

ორგანიზაციის „ქალები საერთო მომავლისთვის“ (WECF) აღმასრულებელმა დირექტორმა, **საშა გაბიზონმა**, ისაუბრა გენდერული თანასწორობის როლზე დემოკრატიული გარდაქმნის პროცესში.

„საქართველოში რეალური სოციალურ-ეკონომიკური ტრანსფორმაციის მისაღწევად აუცილებელია 2030 წლისთვის მდგრადი განვითარების მიზნების შესრულება, რისი საკვანძო კომპონენტი გენდერული თანასწორობის მიღწევაა“, – განაცხადა მან.

გიგი ბრეგაძემ, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) დემოკრატიული მმართველობის მიმართულების ხელმძღვანელმა საქართველოში, ყურადღება გაამახვილა თანამშრომლობასა და პარტნიორობაზე გლობალური მიზნების მისაღწევად.

„მდგრადი განვითარების დღის წესრიგი უნიკალურ შესაძლებლობას აძლევს საქართველოს მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგას გენდერული უთანასწორობის ყველა ფორმის აღმოსაფხვრელად. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა საზოგადოების ერთობლივი ძალისხმევა, მთავრობის, არასამთავრობო ორგანიზაციების, კერძო სექტორისა და მედიის კოორდინირებული მუშაობა, და საქართველოს საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერა“, – განაცხადა გიგი ბრეგაძემ.

შეხვედრაზე გამართული დისკუსია გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებულ მთელ რიგ საკითხს შეეხო. მონაწილეებმა იმსჯელეს ეკონომიკური რესურსების ხელმისაწვდომობაზე, არათანაბარ სამუშაო ანაზღაურებაზე, სამუშაო ადგილების არათანაბარ განაწილებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალების დაბალ წარმომადგენლობაზე.

გამომსვლელებს შორის იყვნენ: ჰელენა სანჩო - საქართველოში შვედეთის საელჩოს პირველი მდივანი; ლევან ავალიშვილი - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) პროგრამების დირექტორი; საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წარმომადგენლები; „ჩვენ ვიკვლევთ“ და საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) გენდერულ საკითხთა ექსპერტები და მკვლევარები.

შეხვედრის გაიმართა IDFI, WECF, UNDP, საქართველოში შვედეთის საელჩოსა და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ორგანიზებით.

საკონტაქტო ინფორმაცია:

- მერი მახარაშვილი, IDFI, +995 599 500137, m.makharashvili@idfi.ge
- სოფო ჭიჭინაძე, UNDP საქართველო, +995 599 196907, sophie.tchitchinadze@undp.org
- ირინა სულავა, UNDP საქართველო, +995 599 570105 irine.sulava@undp.org